საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბესლეთი

ბესლეთი, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის ბესლეთის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ბესლეთის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 120 მ, უშუალოდ ესაზღვრება სოხუმს. ბ. ზღვისპირა კლიმ.-ბალნეოლ. კურორტია. ჰავა – ზღვის ნოტიო სუბტროპიკული; იცის თბილი, რბილი ზამთარი (იანვ. საშ. ტემ-რა 5,8°C) და ცხელი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 23,8°C). სამკურნ. ფაქტორი: ჰავა, თერმული მინერ. წყალი (ტემპ-რა 35,5–42°C). წყალი ორი ტიპისაა: სულფიდური, ქლორიდულ-ნატრიუმიანი (მინერალიზაცია 11–30 გ/ლ) და აზოტური ჰიდროკარბონატული, ქლორიდულ-სულფიდური, კალციუმ-ნატრიუმიანი (მინერალიზაცია 1,3–2,0 გ/ლ). იყენებენ აბაზანებისათვის მოძრაობის ორგანოების, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლ. დაავადებების სამკურნალოდ.

ბ-ის მახლობლად არის ძვ. ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი – XI–XII სს. ერთმალიანი თაღოვანი ხიდი მდ. ბესლეთზე. საერთო სიგრძე 35 მ, მალის სიგრძე 13,3 მ, სიმაღლე 8 მ. სავალი ნაწილის სიგანე 4,7 მ. ნაგებია კირქვის ფილებითა და დუღაბით. შემოსილია ქვის თლილი ბლოკებით, მათ შორის დაყოლებულია ბრტყელი აგურის შრეები. ხიდის თაღი ეყრდნობა 8 მ სიგანის ორ ბურჯს, შემაღლებულ თაღზე ასასვლელად ორივე მხრიდან მიწაყრილებია გამოყენებული. თაღის ყოველ საპირე ქვაზე ამოკვეთილია ქართ. ასომთავრული ასოები. ხიდი დღესაც ასრულებს თავის დანიშნულებას.

ბ. ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიზეა.

ლიტ.: რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ნ., XI–XII სს. ხიდი მდ. ბესლეთზე, კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.

გ. უშვერიძე

ი. ციციშვილი